

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-4
---------------------------------	-----

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	10
2. მომზადების საფუძველი	11
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	12
4. სტანდარტები, რომლებიც გამოიყენა მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა	21
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	22
6. წინა წლის შეცდომის გასწორება	23
7. ძირითადი საშუალებები	24
8. სასაქონლო მატერიალური მარაგები	25
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	26
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26
12. ვალდებულების ანარიცხი	26
13. გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები	27
14. შემოსავლები	30
15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	30
16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	31
17. გაყიდვის ხარჯები	31
18. სხვა შემოსავალი/ხარჯი ნეტო	32
19. ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	32
20. მოგების გადასახადი / გადავადებული მოგების გადასახადი	32
21. პირობითი ვალდებულებები	33
22. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	34
23. დაკავშირებული მხარეები	39
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	40

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიჩირავს აუდიტის ჩასატარებლად შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“-სა (შემდგომში - „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის (ერთობლივად - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას ჯგუფის თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის ნაწილში - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსატქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2016 წლის 1 იანვრისთვის ჩართულია გუდვილი საბალანსო ღირებულებით 7 095 247 ლარი, ეს თანხა წარმოადგენს შპს რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის მიერ 2015 წელს შპს „საგა იმპექსის“ 100% წილის შეძენისას წარმოშობილი გუდვილის ღირებულებას. შპს „საგა იმექსის“ შეძენით წარმოშობილი გუდვილი დათვლილი იყო, როგორც სხვაობა შეძენისას გადახდილ ანაზღაურებასა და შეძენის წლის ბოლოს, შეძენილი კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის. გუდვილის აღრიცხვის ასეთი მეთოდი არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს, რაც მოითხოვს რომ გუდვილის ღირებულება განსაზღვრული იყოს როგორც სხვაობა შეძენის მომენტში გადახდილ ანაზღაურებასა და შეძენილი კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებას შორის. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები შპს „საგა იმპექსის“ იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებაზე შეძენის მომენტისთვის. შესაბამისად ჩვენ ვერ დავრწმუნდით საჭიროა თუ არა რაიმე კორექტირების გაკეთება აღიარებულ გუდვილთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში.

2019 წლის 12 ივნისს დაიწყო ჯგუფის შვილობილი კომპანიის გადახდისუნარიობის საქმის წარმოება (გაკოტრება, რეაბილიტაცია). 2020 წლის 17 ივლისს შვილობილი კომპანიის 51%-ზე მეტი ხმის უფლების მქონე კრედიტორის, შპს „ბ & ნ“-ის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი იქნა გადაწყვეტილებები რეაბილიტაციის მმართველს და საწარმოს დირექტორს შორის უფლებამოსილებათა წრის განსაზღვრის და შვილობილი კომპანიის - შპს „საგა იმპექსი“-ს რეაბილიტაციის მმართველის მომსახურების შესახებ. ასევე, 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, შვილობილ კომპანიას აქვს წმინდა ზარალი (3,910,380 ლარი) და უარყოფითი კაპიტალი (7,353,735 ლარი). შვილობილ კომპანიას ასევე აქვს მნიშვნელოვანი ფინანსური ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომლის ნაწილიც უნდა დაფაროს ერთი წლის განმავლობაში. ჩვენ ხელმძღვანელობისგან ვერ მოვიპოვეთ მომდევნო ერთი წლის პროგნოზი და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით მივიღეთ მტკიცებულება, რომ შვილობილ კომპანიას ექნება საკმარისი სახსრები გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილის დასაფარად.

ასევე, 2018 წელს შვილობილ კომპანიას საგადასახადო შემოწმების შედეგად ბიუჯეტში გადასახდელოდ დაერიცხა 1,083,690 ლარი. ხელმძღვანელობა თვლის, რომ შესაბამისი კანონი არ დაურღვევია და იმ ოპერაციების საგადასახადო დაბეგვრას, რომელზეც დაერიცხა ჯარიმა, ძველი მეთოდით აგრძელებს. საკითხზე მიმდინარეობს დავა და მისი წაგების შემთხვევაში შვილობილ კომპანიას დამატებით დაერიცხება გადასახადები. ხსენებული მოვლენები მიუთითებს, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს შვილობილი კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, აგრეთვე შვილობილი კომპანიის უნარის შესახებაც, რომ ის შეძლებს თავისი აქტივების გაყიდვასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

ფუნქციონირებადი საწარმოს საადრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობა დამოკიდებულია გამსესხებელთან მოლაპარაკების შედეგების საიმედოდ შეფასებაზე. ჩვენთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, ჩვენ ვერ შევძელით დაგეგმილი აუდიტორული პროცედურების ჩატარება, რაც აუცილებელი იყო შვილობილი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს საადრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ დასკვნის გამოსატანად. თუ შვილობილ კომპანიას არ შესწევს უნარი განაგრძოს ფუნქციონირება პროგნოზირებად მომავალში, მან შესაძლებელია ვერ დაფაროს ვალდებულებები ნორმალური ბიზნეს საქმიანობით და საჭირო გახდეს აქტივების რეალიზაცია, რაც შეიძლება წარმოადგენდეს აქტივების საბალანსო ღირებულების კორექტირების საფუძველსა და გრძელვადიანი აქტივების წარდგენას მოკლევადიან აქტივებად. ამგვარ კორექტირებებს ადგილი არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჩვენ მივიღეთ ძირითადი საშუალებების რეესტრი, რომელშიც არ არის მითითებული ძირითადი საშუალებების შემენის რეალური თარიღები, შესაბამისად ვერ შევძელით მიგველო რწმუნება ჯგუფის მიერ დარიცხული ცვეთის სისწორეზე. ჩვენ ვერც ალტერნატიული პროცედურებით ვერ დავრწმუნდით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაგროვილი ცვეთის ოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული იყო 33,411,883 ლარით. შესაბამისად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასა და ცვეთის ხარჯზე შესაბამისად ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფის ძირითადი საშუალებების ნაწილი (მიწა, შენობები და ნაგებობები) წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით, გადაფასება განხორციელდა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. იმის გათვალისწინებით, რომ 2013 წელს ჯგუფის ძირითადი საშუალებები გადაფასდა, მათ შორის გარკვეული აქტივები გაუფასურდა, ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება, თუ რომელი კონკრეტული აქტივი იყო გაუფასურებული და რა ოდენობით. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ ინდივიდუალური აქტივის ჭრილში რა ოდენობის თანხა უნდა წასულიყო მოგება-ზარალში და რა - გადაფასების რეზერვში.

ჩვენ არ მიგვიღია მესამე მხარის დასტურის წერილები ჯგუფის დებიტორების ნაწილისგან და ვერ შევძელით ალტერნატიული პროცედურებით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები დებიტორული დავალიანებების გარკვეულ ნაწილზე. ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში დაუდასტურებელმა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჯამურმა ღირებულებამ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 5,685,356 ლარი. ასევე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ განუსაზღვავს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და არ შეუქმნია მოსალოდნელი ზარალის ადეკვატური რეზერვი, როგორც ეს მოთხოვნილია ფასს 9-ის მიხედვით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთებთან და მათ მოსალოდნელ ზარალებთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, აგრეთვე სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში.

ჩვენ არ მიგვიღია მესამე მხარის დასტურის წერილები ჯგუფის კრედიტორების ნაწილისგან და ვერ შევძელით ალტერნატიული პროცედურებით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები კრედიტორული დავალიანების გარკვეულ ნაწილზე. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დაუდასტურებელმა სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ჯამურმა ღირებულებამ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 6,750,165 ლარი. ასევე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ შეუქმნია საგარანტიო ანარიცხები, რადგან ხელმძღვანელობა არ აწარმოებს საგარანტიო ანარიცხების ისეთ აღრიცხვას, რომ შეგვემოწმებინა გაყიდული პროდუქციის დარჩენილი საგარანტიო ვადები და შეგვეფასებინა საგარანტიო მომსახურების ხარჯები პროდუქციის ტიპების მიხედვით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხული ან აღურიცხავი სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაშთებთან დაკავშირებით და მოსალოდნელ საგარანტიო ხარჯებთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, ასევე სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში.

ჩვენ არ მიგვიღია მესამე მხარის დასტურის წერილი 2018 წლის 28 მარტს გაცემულ სესხეზე, და ვერც ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები აღნიშნულ გაცემულ სესხზე. ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში დაუდასტურებელმა გაცემული სესხის ჯამურმა ღირებულებამ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 281,653 ლარი. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა გაცემული სესხების ნაშთებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში.

ჩვენ არ მიგვიღია მესამე მხარის დასტურის წერილი მიღებულ სესხის ნაწილზე და ვერც ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები აღნიშნულ სესხზე. ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში დაუდასტურებელმა მიღებული სესხის ჯამურმა ღირებულებამ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 23,176,816 ლარი. გარდა ამისა კომპანიას დამფუძნებლისგან აქვს აღებული უპროცენტო სესხები, რაც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 23,180,530 ლარის ოდენობით, სესხები არ არის აღრიცხული ფასს 13-ის მოთხოვნების შესაბამისად. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა რა ეფექტი ექნებოდა საჭირო კორექტირებებს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე, აგრეთვე სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების შესაბამის ელემენტებზე.

ჩვენ მიერ შედგენილი აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის ხელმძღვანელობას არ მოუწოდებია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შესახებ ინფორმაცია, ამიტომ ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

მნიშვნელოვანი გარემოება - საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 25-ე განმარტებით შენიშვნაზე, სადაც აღწერილია გარემოება, რომელსაც ადგილი ჰქონდა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე. კერძოდ: 2020 წლის 17 ივლისს შვილობილი კომპანიის 51% -ზე მეტი ხმის უფლების მქონე კრედიტორის, შპს „ბ & ნ“-ის წარმომადგენლის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები რეაბილიტაციის მმართველს და საწარმოს დირექტორს შორის უფლებამოსილებათა წრის განსაზღვრის და შპს „საგა იმპექსი“-ს რეაბილიტაციის მმართველის მომსახურების შესახებ.

სხვა გარემოებები

ჯგუფის 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განსახორციელებლად დაქირავებული ჰყავდა სხვა აუდიტორი, რომელმაც 2019 წლის 4 ოქტომბრის შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოსცა დასკვნა: „უარი მოსაზრების გამოთქმაზე“. მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი იყო შემდეგი გარემოებები:

- აუდიტორულმა ფირმამ ვერ მიიღო შვილობილი კომპანიის მესამე მხარის დასტურის წერილები ჯგუფის დებიტორების ნაწილისგან და ვერ შეძლო ალტერნატიული პროცედურებით მოეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები გარკვეულ დებიტორულ დავალიანებებზე. დაუდასტურებელმა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჯამურმა ღირებულებამ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 1,323,987 ლარი. შედეგად, ვერ გასაზღვრა, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.
- აუდიტორულ ფირმას არ მიუღია შვილობილი კომპანიის მესამე მხარის დასტურის წერილები ჯგუფის კრედიტორებისგან და ვერც ალტერნატიული პროცედურებით მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები გარკვეულ კრედიტორულ დავალიანებებზე. ფინანსური მდგომარეობის

ანგარიშგებაში დაუდასტურებელმა სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ჯამურმა ღირებულებამ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად 2,581,275 შედეგად, ვერ განსაზღვრა, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაშთებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

- აუდიტორულმა ფირმამ ასევე ვერ მოიპოვა შვილობილი კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია. სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ეს ანაზღაურება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის ასახულია 428,062 ლარის ოდენობით. სხვა ალტერნატიული პროცედურით ვერ მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება 2018 წლის ხელმძღვანელობის ანაზღაურების სისწორეზე. შედეგად, ვერ განსაზღვრეს, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ ხელმძღვანელობის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

სხვა ინფორმაცია, რომელიც ასახულია ჯგუფის 2019 წლის მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის 2019 წლის მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ შეიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. ჩვენი უარი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმაზე არ მოიცავს აღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, საქართველოს საკანონდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა ზემოთ მითითებული სხვა ინფორმაციის გაცნობა და იმის განსაზღვრა, ეს სხვა ინფორმაცია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან არსებითად შეუსაბამო არის თუ არა, ან სხვაგვარად არსებით უზუსტობას შეიცავს თუ არა. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით, დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად არასწორია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ჩვენი აზრით, ჯგუფის 2019 წლის მმართველობის ანგარიშში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ შეესაბამება 2019 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გარიგების პარტნიორი აუდიტზე, რომლის შედეგიცაა ეს დასკვნა, არის გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თიეი“-ის სახელით

გელა მღებრიშვილი

თბილისი, საქართველო

2020 წლის 30 ოქტომბერი

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გარიგების პარტნიორი აუდიტზე, რომლის შედეგიცაა ეს დასკვნა, არის გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თიეი“-ის სახელით

გელა მღებრიშვილი

თბილისი, საქართველო

2020 წლის 30 ოქტომბერი



Closer to you

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“
 ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018 * გადაანგარიშებული	1 იანვარი 2018 * გადაანგარიშებული
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	33,411,883	34,693,490	35,945,723
არამატერიალური აქტივები		46,570	54,376	63,766
სხვა ფინანსური აქტივი		325,197	302,551	-
გუდვილი		7,095,247	7,095,247	7,095,247
სულ გრძელვადიანი აქტივები		40,878,897	42,145,664	43,104,736
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8	7,023,478	9,992,187	14,465,560
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	5,685,356	4,797,108	7,132,241
გაცემული სესხები		281,653	285,221	70,398
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	757,457	323,795	542,441
სულ მიმდინარე აქტივები		13,747,944	15,398,311	22,210,640
სულ აქტივები		54,626,841	57,543,975	65,315,376
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		32,486,311	32,486,311	32,486,311
დაგროვილი ზარალი		(50,033,507)	(38,076,171)	(31,121,327)
გადაფასების რეზერვი		13,980,621	13,980,621	13,980,621
არამაკონტროლებელი წილი		-	-	67,556
სულ კაპიტალი		(3,566,575)	8,390,761	15,413,161
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხი	13	21,127,258	27,338,472	32,315,569
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		21,127,258	27,338,472	32,315,569
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	13	25,230,088	16,321,831	3,167,076
ვალდებულებების ანარიცხი	14	4,650,810	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		435,095	390,158	632,303
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	6,750,165	5,102,753	13,787,267
სულ მიმდინარე ვალდებულებები		37,066,158	21,814,742	17,586,646
სულ ვალდებულებები		58,193,416	49,153,214	49,902,215
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		54,626,841	57,543,975	65,315,376

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2018 წლის და 2017 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 ოქტომბერს:

ლელა კალანდია - დირექტორი	სოფიო უბილავა - ბუღალტერი
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

9-40 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“
 ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018 * გადაანგარიშებული	1 იანვარი 2018 * გადაანგარიშებული
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	33,411,883	34,693,490	35,945,723
არამატერიალური აქტივები		46,570	54,376	63,766
სხვა ფინანსური აქტივი		325,197	302,551	-
გუდვილი		7,095,247	7,095,247	7,095,247
სულ გრძელვადიანი აქტივები		40,878,897	42,145,664	43,104,736
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8	7,023,478	9,992,187	14,465,560
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	5,685,356	4,797,108	7,132,241
გაცემული სესხები		281,653	285,221	70,398
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	757,457	323,795	542,441
სულ მიმდინარე აქტივები		13,747,944	15,398,311	22,210,640
სულ აქტივები		54,626,841	57,543,975	65,315,376
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		32,486,311	32,486,311	32,486,311
დაგროვილი ზარალი		(50,033,507)	(38,076,171)	(31,121,327)
გადაფასების რეზერვი		13,980,621	13,980,621	13,980,621
არამაკონტროლებელი წილი		-	-	67,556
სულ კაპიტალი		(3,566,575)	8,390,761	15,413,161
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხი	13	21,127,258	27,338,472	32,315,569
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		21,127,258	27,338,472	32,315,569
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	13	25,230,088	16,321,831	3,167,076
ვალდებულებების ანარიცხი	14	4,650,810	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		435,095	390,158	632,303
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	6,750,165	5,102,753	13,787,267
სულ მიმდინარე ვალდებულებები		37,066,158	21,814,742	17,586,646
სულ ვალდებულებები		58,193,416	49,153,214	49,902,215
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		54,626,841	57,543,975	65,315,376

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2018 წლის და 2017 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 ოქტომბერს:

ლელა კალანდია - დირექტორი
 თბილისი, საქართველო

სოფიო უბილავა - ბუღალტერი
 თბილისი, საქართველო

9-40 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“
 სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

		2019	2018 *
	შენიშვნა		გადაანგარიშებული
შემოსავალი	14	29,496,188	32,260,778
რეალიზაციის თვითღირებულება	15	(22,436,956)	(24,049,989)
საერთო მოგება		7,059,232	8,210,789
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	16	(8,842,010)	(10,502,226)
გაყიდვის დანახარჯები	17	(2,531,711)	(2,605,673)
სხვა შემოსავალი/ხარჯი ნეტო	18	(49,041)	567,492
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(4,363,530)	(4,329,618)
ზარალი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან	19	(1,864,921)	(552,557)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(4,650,810)	
ფინანსური ხარჯი, წმინდა		(1,078,075)	(2,072,669)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(11,957,336)	(6,954,844)
მოგების გადასახადი		-	-
მთლიანი სრული ზარალი		(11,957,336)	(6,954,844)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი		(11,957,336)	(6,954,844)

საანგარიშგებო წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც ეკუთვნის:

ჯგუფის მფლობელებს	(11,957,336)	(6,954,844)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს	-	-

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2018 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 ოქტომბერს:

ლელა კალანდია - დირექტორი	სოფიო უბილავა - ბუღალტერი
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

9-40 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“
 სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018 * გადაანგარიშებული
შემოსავალი	14	29,496,188	32,260,778
რეალიზაციის თვითღირებულება	15	(22,436,956)	(24,049,989)
საერთო მოგება		7,059,232	8,210,789
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	16	(8,842,010)	(10,502,226)
გაყიდვის დანახარჯები	17	(2,531,711)	(2,605,673)
სხვა შემოსავალი/ხარჯი ნეტო	18	(49,041)	567,492
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(4,363,530)	(4,329,618)
ზარალი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან	19	(1,864,921)	(552,557)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(4,650,810)	
ფინანსური ხარჯი, წმინდა		(1,078,075)	(2,072,669)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(11,957,336)	(6,954,844)
მოგების გადასახადი		-	-
მთლიანი სრული ზარალი		(11,957,336)	(6,954,844)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი		(11,957,336)	(6,954,844)

საანგარიშგებო წლის მოგება და მთლიანი სრული
 შემოსავალი, რომელიც ეკუთვნის:

ჯგუფის მფლობელებს	(11,957,336)	(6,954,844)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს	-	-

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2018 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6
 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 ოქტომბერს:


ლელა კალანდია - დირექტორი

თბილისი, საქართველო


 იუსტიციის
 საჯაროებო-საპროცესო
 ავტორიზაცია
 205228877

სოფიო უბილავა - ბუღალტერი

თბილისი, საქართველო



9-40 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური
 ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“
 კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	არამაკონტრო- ლებელი წილი	გადაფასების რეზერვი	სულ
1 იანვარი 2018*	32,486,311	(31,121,327)	67,556	13,980,621	15,413,161
ინვესტიციის ზრდა	-	-	-	-	-
დივიდენდები	-	-	(67,556)	-	(67,556)
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(6,954,844)	-	-	(6,954,844)
31 დეკემბერი 2018*	32,486,311	(38,076,171)	-	13,980,621	8,390,761
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(11,957,336)	-	-	(11,957,336)
31 დეკემბერი 2019	32,486,311	(50,033,507)	-	13,980,621	(3,566,575)

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2018 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 ოქტომბერს:

ლელა კალანდია - დირექტორი

თბილისი, საქართველო

სოფიო უბილავა - ბუღალტერი

თბილისი, საქართველო

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“
 კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	არამაკონტრო- ლებელი წილი	გადაფასების რეზერვი	სულ
1 იანვარი 2018*	32,486,311	(31,121,327)	67,556	13,980,621	15,413,161
ინვესტიციის ზრდა	-	-	-	-	-
დივიდენდები	-	-	(67,556)	-	(67,556)
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(6,954,844)	-	-	(6,954,844)
31 დეკემბერი 2018*	32,486,311	(38,076,171)	-	13,980,621	8,390,761
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(11,957,336)	-	-	(11,957,336)
31 დეკემბერი 2019	32,486,311	(50,033,507)	-	13,980,621	(3,566,575)

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2018 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 ოქტომბერს:

ლელა კალანდია - დირექტორი

თბილისი, საქართველო

საერთაშორისო
 საკუთრების
 ავტოდრომი
 205228877

სოფიო უბილავა - ბუღალტერი

თბილისი, საქართველო

9-40 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური
 ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018*
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(11,957,337)	(6,954,845)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		1,219,110	1,292,454
ნეტო ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან		(2,839)	(384,844)
მარაგების დანაკლისი		824,508	504,354
ძირითადი საშუალების ჩამოწერა		5,027	76,332
საექვო მოთხოვნების ანარიცხის		64,833	2,137,569
ცვლილება გარანტიის ანარიცხში		-	(182,351)
საპროცენტო შემოსავალი		(9,661)	(1,011)
საპროცენტო ხარჯი		595,197	2,056,353
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი/(მოგება)		1,864,922	842,198
საოპერაციო ფულადი სახსრების გასვლა საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		(7,396,240)	(613,791)
საბრუნავი კაპიტალის ცვლილება			
შემცირება მარაგებში		2,144,202	3,975,568
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(1,525,753)	(434,867)
ზრდა საგადასახადო აქტივებში		(21,232)	-
ზრდა საგადასახადო ვალდებულებებში		66,172	(8,446)
ზრდა ვალდებულებების ანარიცხში		4,650,811	-
ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		1,602,070	(7,962,402)
საოპერაციო საქმიანობიდან გასული ფულადი სახსრები		(479,970)	(5,043,938)
გადახდილი პროცენტები		(429,820)	(1,823,468)
მიღებული პროცენტი		16,551	-
საოპერაციო საქმიანობიდან გასული წმინდა ფულადი სახსრები		(893,239)	(6,867,406)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(48,731)	(357,269)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		116,846	662,801
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(1,229)
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში		-	(750,064)
NCI შემცირება		-	(76,022)
წმინდა შემოსულობანი გაცემული სესხებიდან		(3,321)	(292,146)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		64,794	(813,929)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან:			
წმინდა შემოსულობანი (გასვლა)/სესხებიდან		1,311,336	7,052,674
საწესდებო კაპიტალის ზრდა		-	750,063
ფინანსური აქტივი		-	(302,551)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		1,311,336	7,500,186
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა / (შემცირება)		482,891	(181,149)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	10	323,795	542,441
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე		(49,229)	(37,497)
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	10	757,457	323,795

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2018 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 ოქტომბერს:

ლელა კალანდია - დირექტორი	სოფიო უბილავა - ბუღალტერი
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

9-40 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა	2019	2018*
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(11,957,337)	(6,954,845)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,219,110	1,292,454
ნეტო ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	(2,839)	(384,844)
მარაგების დანაკლისი	824,508	504,354
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	5,027	76,332
საქვო მოთხოვნების ანარიცხის	64,833	2,137,569
ცვლილება გარანტიის ანარიცხში	-	(182,351)
საპროცენტო შემოსავალი	(9,661)	(1,011)
საპროცენტო ხარჯი	595,197	2,056,353
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი/(მოგება)	1,864,922	842,198
საოპერაციო ფულადი სახსრების გასვლა საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	(7,396,240)	(613,791)
საბრუნავი კაპიტალის ცვლილება		
შემცირება მარაგებში	2,144,202	3,975,568
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(1,525,753)	(434,867)
ზრდა საგადასახადო აქტივებში	(21,232)	-
ზრდა საგადასახადო ვალდებულებებში	66,172	(8,446)
ზრდა ვალდებულებების ანარიცხში	4,650,811	-
ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	1,602,070	(7,962,402)
საოპერაციო საქმიანობიდან გასული ფულადი სახსრები	(479,970)	(5,043,938)
გადახდილი პროცენტები	(429,820)	(1,823,468)
მიღებული პროცენტი	16,551	-
საოპერაციო საქმიანობიდან გასული წმინდა ფულადი სახსრები	(893,239)	(6,867,406)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(48,731)	(357,269)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	116,846	662,801
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(1,229)
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	-	(750,064)
NCI შემცირება	-	(76,022)
წმინდა შემოსულობანი გაცემული სესხებიდან	(3,321)	(292,146)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	64,794	(813,929)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან:		
წმინდა შემოსულობანი (გასვლა)/სესხებიდან	1,311,336	7,052,674
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	750,063
ფინანსური აქტივი	-	(302,551)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	1,311,336	7,500,186
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა / (შემცირება)	482,891	(181,149)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	10 323,795	542,441
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	(49,229)	(37,497)
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	10 757,457	323,795

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2018 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 ოქტომბერს:

ლელა კალანდია - დირექტორი
თბილისი, საქართველო

სოფიო უბილავა - ბუღალტერი
თბილისი, საქართველო

9-40 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“ (კომპანია) დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 2007 წლის 29 ოქტომბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ოპერირებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია: 205228877.

კომპანიის დამფუძნებლები არიან ფ/პ შოთა აფხაზავა (64N^o3262020, 72 6054690, რუსეთის ფედერაცია) 86.34% და შპს ბათუმის ჩოგბურთის კლუბი (245629146) 13.66%. საკუთრივ შპს ბათუმის ჩოგბურთის კლუბის 99.9% მფლობელია შოთა აფხაზავა, ხოლო 0.1%-ს ფლობს შპს თიჯიემ (ს/კ 245627120). შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“ ფლობს შპს საგა იმპექსის (ს/კ205185235) 100%- იან წილს.

შპს რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია ავტოსპორტთან. კომპანიის ტერიტორიაზე განთავსებულია ავტო, მოტო და კარტინგის ტრასები რომლებზეც ტარდება როგორც ოფიციალური ისე არაოფიციალური შეჯიბრებები. აგრეთვე კომპანია იჯარით გასცემს მის მფლობელობაში არსებულ სპორტულ ინვენტარს (სპორტული ავტომობილები, მოტოციკლები), აქვს ექსტრემალური მართვის შემსწავლელი კურსები. აქვს მოძრავი და უძრავი ქონების იჯარიდან მიღებული შემოსავლებიც.

კომპანიის მისამართია: საქართველო, ქ. რუსთავი, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილი 21-ე კ/მ მიმდებარე ტერიტორია. კომპანიის მთავარი ოფისი მდებარეობს მის სარეგისტრაციო მისამართზე.

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“ (მშობელი კომპანია) და მისი შვილობილი საწარმო შპს „საგა იმპექსი“ ერთობლივად მოხსენიებულია მიმდინარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, როგორც „ჯგუფი“.

შვილობილი კომპანია

შვილობილი კომპანია: შპს „საგა იმპექსი“ (ს/კ205185235)

შვილობილი კომპანია კორპორატიულ და საცალო მომხმარებელს სთავაზობს გათბობის, გაგრილებისა და ვენტილაციის სისტემების მრავალფეროვან არჩევანსა და მომსახურებას. შვილობილი კომპანიის სეგმენტი მოიცავს როგორც სამომხმარებლო და კორპორატიულ, ისე ინდუსტრიულ მიმართულებებს.

შპს საგა იმპექსს ჰყავდა ორი შვილობილი: შპს ლიჯისტიკსერვისი და შპს საგა დეველოპმენტი, რომლებშიც შესაბამისად ფლობდა 100% და 75% წილებს 2018 წლის 14 დეკემბრამდე. შპს საგა დეველოპმენტის უმცირესობის 25%-იანი წილის მფლობელი იყო ფიზიკური პირი ზურაბ დუმბაძე. 2018 წლის 14 დეკემბერს საგა იმპექსმა შეირჩია შვილობილები. მოცემულ თარიღში შვილობილ კომპანიებს უკვე შეწყვეტილი ჰქონდათ საოპერაციო საქმიანობა.

ამ ანგარიშგების გამოშვების მომენტში მშობელი კომპანიის დირექტორი არის ლელა კალანდია.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ფასს 10 ”კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ სტანდარტის შესაბამისად.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში თუ სხვაგვარად არ არის მითითებული მე-3 შენიშვნაში წარმოდგენილი ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკის მიხედვით.

წინა წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასევე მომზადებული იყო ფასს-ის შესაბამისად.

შვილობილი კომპანიები არიან ის ორგანიზაციები, რომლებიც კონტროლდებიან ჯგუფის მიერ. კონტორლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად დაარეგულიროს ორგანიზაციის ფინანსური და სამუშაო პოლიტიკა ისე რომ, მიიღოს სარგებელი მისი სამუშაო საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების დღიდან კონტროლის შეწყვეტის დღემდე.

ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის შესყიდვისას გამოიყენება შესყიდვის მეთოდი. შესყიდული ამოცნობადი აქტივები და ვალდებულებები თუ პირობითი ვალდებულებები, დაშვებული ბიზნეს გაერთიანებისას აღირიცხება შესყიდვის დღეს არსებული სამართლიანი ღირებულებით, უმცირესობის წილის მოცულობის მიუხედავად.

შიდა ჯგუფური ნაშთები და ტრანზაქციები, ნებისმიერი არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანზაქციიდან არ არის გათვალისწინებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

ფუნქციონირებადი საწარმო

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ჯგუფი არის სახელმწიფო საკუთრებაში. იმის მიუხედავად რომ ჯგუფი 2019 და 2018 წლებში არის ზარალზე და ჯგუფის შემოსავლებიც საგრძნობლად არის შემცირებული 2019 წელს, ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ მიუხედავად აღნიშნული უარყოფითი მაჩვენებლების, ჯგუფს აქვს შესაძლებლობა სტაბილურ ფუნქციონირების ასევე ჯგუფის მიმდინარე აქტივები მნიშვნელოვნად აღემატება მის მიმდინარე ვალდებულებებს, რაც გულისხმობს რომ ჯგუფი არის თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანი, ფინანსური ანგარიშგების მომზადებიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

COVID 19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, ბაზარი გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანიამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება (იხილეთ შენიშვნა 24) და შედეგად, ჯგუფის მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ჯგუფმა პირველად გამოიყენა ფასს 16. აღნიშნული ახალი სააღრიცხვო სტანდარტის დანერგვით გამოწვეული ცვლილების შინაარსი და ეფექტი აღწერილია ქვემოთ.

ჯგუფმა პირველად გამოიყენა გარკვეული სტანდარტის ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. ჯგუფს არ დაუწერავს არც ერთი სტანდარტი, ცვლილება ან შესწორება, რომელიც უკვე გამოცემულია, თუმცა ძალაში შესული არ არის (იხილეთ მე-4 შენიშვნა). თითოეული ცვლილების შინაარსი და ეფექტი აღწერილია ქვემოთ.

ფასს 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასს (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა – სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს აქტივის (ძირითადი აქტივების) გამოყენების უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის – „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი. მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს. ფასს 16, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, მოიჯარეებს და მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა.

ფასს 16-ის დანერგვას არ ჰქონია რაოდენობრივი გავლენა 2019 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე. ახალი სტანდარტი გავლენას არ ახდენს ჯგუფის საწყის ნაშთებზე ვინაიდან ის თვითონ არ არის მოიჯარე, ხოლო მეიჯარისთვის აღნიშნული სტანდარტი არ იწვევს სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვან ცვლილებას.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება

ძირითადი საშუალებები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშებში მისი მოხდენისთანავე.

შემდგომი შეფასება / აღრიცხვა

აქტივად აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალებები გარდა ფიქსირებული ძირითადი საშუალებებისა (მიწა, შენობები და ნაგებობები) აღირიცხება თვითღირებულების მოდელით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით ან/და გაუფასურების ღირებულებით.

ფიქსირებული აქტივები (მიწა, შენობები და ნაგებობები) ბალანსში აღიარებულია გადაფასებული ღირებულებით რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შედეგად დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი) ღირებულებით. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს გადაფასების დღისათვის არსებული დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. გადაფასება ტარდება დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. ბოლო შეფასება მოხდა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული ნამეტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მშენებარე ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მონტაჟის და მწყობრში მოყვანის ხარჯებს აგრეთვე სხვა კაპიტალიზებად ხარჯებს რომელიც „ჯგუფის“ პოლიტიკითაა განსაზღვრული.

მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვით ან ჩამოწერით განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის დარიცხვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ როდესაც აქტივი შედის გამოყენებაში.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

<i>ძირითადი საშუალების ჯგუფი</i>	<i>სასარგებლო პერიოდის ვადა</i>
შენობა ნაგებობები	30-50 წელი
ელექტრო მოწყობილობები და სხვა დანადგარები	8-10 წელი
ოფისის ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
სპორტული მანქანები	5-10 წელი
მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა	არ იცვითება

საჭიროების შემთხვევაში ყოველი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ხდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდის და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

თავდაპირველი აღირება

აღიარების თარიღი

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფმა აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებლო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე.

თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

2018 წლის 1 იანვრიდან, ჯგუფი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებლო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

2018 წლის 1 იანვრამდე ჯგუფი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენდა სავაჭრო მოთხოვნებად (ამორტიზირებული ღირებულება), გასაყიდად გამიზნულად ან დაფარვის ვადამდე ფლობილად (ამორტიზირებული ღირებულება).

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ამორტიზირებული ღირებულებით

2018 წლის 1 იანვრამდე სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავდა არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყო კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ აქტივებისა:

- რომლებსაც ჯგუფი უპირებს დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გაყიდვას;
- რომლებსაც ჯგუფი თავდაპირველი აღიარებისას მიაკუთვნებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახულის ან გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას;
- რომლებზეც ჯგუფმა შეიძლება სრულად ვერ ამოიღოს თავდაპირველი ინვესტიცია ამა თუ იმ მიზეზით, გარდა კრედიტის გაუარესების მიზეზისა, და რომელიც მიეკუთვნება გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას.

2018 წლის 1 იანვრიდან ჯგუფი ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ზემოთხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნესმოდელის შეფასება

ჯგუფის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად. ჯგუფის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია ჯგუფის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით ჯგუფის მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარადა ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია).

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, ჯგუფი მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი. ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2018 წლის 1 იანვრამდე სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოადგენდნენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყვნენ კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ იყო განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ იყო კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამოიწველი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ასეთი აქტივები აღირიცხებოდა ამორტიზირებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდებოდა მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდებოდა სესხებისა და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტა ან გაუფასურება, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ჯგუფმა (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემული აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ჩამოწერა

2018 წლის 1 იანვრიდან ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც ჯგუფი შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო

ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

იჯარა

ჯგუფი აფასებს ხელშეკრულების დაწყებისას ხელშეკრულებას, არის თუ არა იგი მთლიანად იჯარა ან შეიცავს თუ არა იჯარას. ანუ, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს იდენტიფიცირებული აქტივის სარგებლობის კონტროლის უფლებას პერიოდის განმავლობაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კომპანია როგორც მეიჯარე

იჯარის დაწყებისას, ჯგუფი ახდენს მისი იჯარების კლასიფიცირებას როგორც საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად.

საოპერაციო იჯარა

ჯგუფი წარადგენს საოპერაციო იჯარებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივის ბუნებიდან გამომდინარე. საიჯარო შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან აღიადება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საფუძველზე საიჯარო ვადის განმავლობაში, როგორც სხვა წმინდა შემოსავალი. საწყისი პირდაპირი დანახარჯები წარმოქმნილი საოპერაციო იჯარისგან შემოსავლის მისაღებად ემატება იჯარის აქტივის საანგარიშგებო ღირებულებას. აქტივების იჯარა, რომლის საფუძველზე საკუთრების უფლებიდან წარმოშობილი რისკები და სარგებელი ეფექტურად უნარჩუნდება მეიჯარეს, კლასიფიცირებულია საოპერაციო იჯარებად.

იჯარის აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოიყენებოდა 2019 წლის 1 იანვრამდე, შესაძლებელია ინახოს გასული პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავალი

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (ამონაგები)

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ.

ჯგუფის შემოსავალის ნაწილი განისაზღვრება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულ მისაღები ანაზღაურების მიხედვით. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც მოხდება კლიენტისთვის საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა.

ყოველ ხელშეკრულებაზე ჯგუფი ახორციელებს შემდეგ ნაბიჯებს: ახდენს კონტრაქტის არსებობის იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს შესრულების ვალდებულებას; განსაზღვრავს ტრანზაქციის ფასს; ანაწილებს ტრანზაქციის ფასს თითოეული შესრულების ვალდებულებაზე და აღიარებს შემოსავალს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა შესრულების ვალდებულება შესრულდება დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდებით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება ვარაუდს, რომ ფინანსური ანგარიშგების დროს უნდა მოხდეს შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსება. გადასახადები, გარდა საშემოსავლოსი აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ძირითადი საშუალებები დაარამტერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს დამუძნებლისგან გადმოცემულ გრძელვადიან აქტივს ან კოტრიბუციას. კაპიტალში არაფულადი შენატანის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდება აკუმულირებულ ზარალში / გაუნაწილებელ მოგებაში.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ჯგუფის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომლის გამოყენებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018	1 იანვარი, 2018
1 USD/GEL	2.8677	2.6766	2.5922
1 EUR/GEL	3. 2095	3. 0701	3.1044
წლის საშუალო გაცვლითი კურსი			
	2019	2018	
1 USD/GEL	2.8192	2.5345	
1 EUR/GEL	3. 1553	2. 9913	

4. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც არის გამოცემული, მაგრამ ჯერ არ არ შესულა ძალაში კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე მოცემულია ქვემოთ. კომპანია აპირებს მიიღოს აღნიშნული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, საჭიროების შემთხვევაში, როდესაც ისინი ძალაში შევა.

ცვლილებები ბასს 1-ში და ბასს 8-ში: მატერიალურობის განმარტება

2018 წლის ოქტომბერში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემულ იქნა ცვლილებები ბასს 1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ და ბასს 8 „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“, რომელიც ეხება მატერიალურობის განმარტების გათანაბრებას სტანდარტებს შორის და განმარტების გარკვეული ასპექტების გარკვევას. ახალი განმარტებით აღნიშნულია რომ, ' ინფორმაცია არის არსებითი თუ მისი გამოტოვება, არასწორად აღნიშვნა ან დამალვა(დაფარვა) ქმნის ალბათობას რომ ფინანსური ანგარიშგებების იმ უპირველეს მომხმარებლებზე გადაწყვეტილებების მიღებისას იქონიებს გავლენას, რომლებიც იძლევიან ფინანსურ ინფორმაციას კონკრეტულ საანგარიშგებო პირზე.

ცვლილებები მატერიალურობის განმარტებასთან დაკავშირებით მოსალოდნელია რომ აქ ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულება და საექსპლუატაციო ვადები

ჯგუფი აკეთებს ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულებისა და გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, რისთვისაც ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, ისეთებს როგორიცაა ტექნიკური მხარე, კომერციული გამოყენება, ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულება და გამოყენების ხანგრძლივობა, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ჯგუფი აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად ჯგუფი ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი.

დაკავშირებულია მხარის ოპერაციები

ჩვეულებრივად, ჯგუფი აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9-ის მოითხოვს, გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის გასასაზღვრათ შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

6. წინა წლის შეცდომის გასწორება

ჯგუფის ხელმძღვანელობამ მოახდინა შეცდომების იდენტიფიცირება 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაბამისად მოხდა წინა საანგარიშგებო პერიოდის ბალანსების გადახედვა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მსგავსი სახით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო სწორ სურათს გვაჩვენებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შეცდომის გასწორების ეფექტი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 31 დეკემბრის და იანვრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2018		
	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხები
ძირითადი საშუალებები	34,695,199	(1,709)	34,693,490
სხვა ფინანსური აქტივი	-	302,551	302,551
მარაგები	11,078,998	(1,086,811)	9,992,187
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,554,331	(757,223)	4,797,108
გაცემული სესხები	281,315	3,906	285,221
ფული და ფულის ეკვივალენტები	649,590	(325,795)	323,795
საწესდებო კაპიტალი	51,019,499	(18,533,188)	32,486,311
გაუნაწილებელი მოგება	(35,908,283)	(2,167,888)	(38,076,171)
გრძელვადიანი სესხი	6,703,661	20,634,811	27,338,472
მოკლევადიანი სესხი	16,434,819	(112,988)	16,321,831
საგადასახადო ვალდებულებები	369,843	20,315	390,158
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,808,895	(1,706,142)	5,102,753
შემოსავალი	32,211,988	48,790	32,260,778
რეალიზაციის თვითღირებულება	(24,008,196)	(41,793)	(24,049,989)
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	(10,329,971)	(172,255)	(10,502,226)
გაყიდვის დანახარჯები	(2,537,670)	(68,003)	(2,605,673)
სხვა შემოსავალი/ხარჯი ნეტო	(59,292)	626,784	567,492
ზარალი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან	(107,425)	(445,132)	(552,557)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	(2,062,374)	(10,295)	(2,072,669)
	1 იანვარი 2018		
	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხები
ძირითადი საშუალებები	35,939,891	5,832	35,945,723
მარაგები	15,559,253	(1,093,693)	14,465,560
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,732,227	(599,986)	7,132,241
ფული და ფულის ეკვივალენტები	549,033	(6,592)	542,441
საწესდებო კაპიტალი	46,754,319	(14,268,008)	32,486,311
გაუნაწილებელი მოგება	(29,139,099)	(1,982,228)	(31,121,327)
გრძელვადიანი სესხი	16,874,852	15,440,717	32,315,569
მოკლევადიანი სესხი	3,276,169	(109,093)	3,167,076
საგადასახადო ვალდებულებები	825,320	(193,017)	632,303
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14,370,076	(582,809)	13,787,267

შპს “ექტივების მართვის და განვითარების კომპანია”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

7. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარებით შემდეგია:

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	ელექტრო მოწყობილობები და სხვა დანადგარები	ოფისის ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სპორტული მანქანები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>									
იანვარი 1, 2018	13,665,718	18,415,602	918,921	698,202	767,207	1,566,396	3,171,901	349,240	39,553,187
შემოსვლა	-	2,956,977	27,734	22,107	16,350	-	-	30,227	3,053,395
გასვლა	(189,250)	-	(1,018)	(309)	(110,675)	(53,547)	(2,686,548)	(1,015)	(3,042,362)
დეკემბერი 31, 2018	13,476,468	21,372,579	945,637	720,000	672,882	1,512,849	485,353	378,452	39,564,220
შემოსვლა	-	54,412	10,341	7,722	21,111	-	43,242	-	136,828
გასვლა	-	-	(983)	(134)	(10,000)	(6,870)	(54,412)	(361,519)	(433,918)
დეკემბერი 31, 2019	13,476,468	21,426,991	954,995	727,588	683,993	1,505,979	474,183	16,933	39,267,130
<i>ნარჩენი ღირებულება</i>									
იანვარი 1, 2018	-	(1,808,477)	(471,914)	(291,136)	(212,957)	(694,744)	-	(128,236)	(3,607,464)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(673,305)	(148,556)	(115,845)	(65,992)	(232,150)	-	(53,520)	(1,289,368)
ცვეთის ჩამოწერა	-	-	327	128	25,069	-	-	578	26,102
დეკემბერი 31, 2018	-	(2,481,782)	(620,143)	(406,853)	(253,880)	(926,894)	-	(181,178)	(4,870,730)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(733,312)	(73,379)	(80,462)	(37,547)	(239,813)	-	(51,310)	(1,215,823)
ცვეთის ჩამოწერა	-	-	274	-	6,786	4,924	-	219,322	231,306
დეკემბერი 31, 2019	-	(3,215,094)	(693,248)	(487,315)	(284,641)	(1,161,783)	-	(13,166)	(5,855,247)
<i>ნარჩენი ღირებულება</i>									
იანვარი 1, 2018	13,665,718	16,607,125	447,007	407,066	554,250	871,652	3,171,901	221,004	35,945,723
დეკემბერი 31, 2018	13,476,468	18,890,797	325,494	313,147	419,002	585,955	485,353	197,274	34,693,490
დეკემბერი 31, 2019	13,476,468	18,211,897	261,747	240,273	399,352	344,196	474,183	3,767	33,411,883

შპს “რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

8. სასაქონლო მატერიალური მარაგები

ჯგუფის სასაქონლო მატერიალური მარაგები 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარებით შემდეგია:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
საქონელი	4,773,775	6,802,362	10,441,286
ნედლეული და მასალები	2,216,358	2,258,847	2,619,211
სხვა	33,345	930,978	1,405,063
სულ მარაგები	7,023,478	9,992,187	14,465,560

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარებით შემდეგია:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	1 იანვარი 2018
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო მოთხოვნები	8,593,147	7,516,653	7,300,667
სხვა მოთხოვნები	58,536	43,785	28,264
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(3,299,648)	(2,879,522)	(853,804)
	5,352,035	4,680,916	6,475,127
არაფინანსური აქტივები			
გაცემული ავანსები	356,221	265,231	561,148
კონსიგნაციით რეალიზებული საქონლის დღგ	-	-	170,256
გადახდილი ავანსების რეზერვი	(22,900)	(149,039)	(74,290)
	333,321	116,192	657,114
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,685,356	4,797,108	7,132,241

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საექვო ვალების რეზერვის მოძრობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
ნაშთი 1 იანვარის მდგომარეობით	3,028,561	928,094
დარიცხვა წლის განმავლობაში	293,987	2,100,467
გაუფასურების რეზერვი	3,322,548	3,028,561

შპს “რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარებით შედგება:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	711,474	271,178	486,546
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე სხვა ვალუტაში	16,235	8,215	20,528
ფული სალაროში	29,748	44,402	35,367
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	757,457	323,795	542,441

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	1 იანვარი 2018
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	5,399,940	3,750,772	12,002,320
გადასახდელი ხელფასები	13,131	135,586	-
სხვა	165,877	121,544	106,119
	5,578,948	4,007,902	12,108,439
არაფინანსური ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	324,015	247,648	638,734
გარანტიით უზრუნველყოფილი	847,202	847,202	1,040,094
საქონლის ანარიცხი			
	1,171,217	1,094,850	1,678,828
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,750,165	5,102,753	13,787,267

12. ვალდებულების ანარიცხი

4,650,810 ლარი წარმოადგენს კომპანიის მიმართ სასამართლო დავის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულების ანარიცხს.

შპს “რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

13. გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები

გრძელვადიანი სესხები, მოკლევადიანი სესხები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2019 წლის 31 დეკემბერი

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის ვადა	პროცენტი	მიდინარე		გრძელვადიანი	
					პირი	დარიცხული ჯარიმები	პროცენტი	პირი
აფხაზავა შოთა	0%	დოლარი	15-ივნ-24	-	5,878,885	-	-	17,205,360
აფხაზავა შოთა	0%	ლარი	26-სექ-19	-	-	-	-	-
აფხაზავა შოთა	0%	ევრო	22-ივლ-24	-	20,973	-	-	75,312
ვითიბი ბანკი ჯორჯია	7%	ევრო	26-ივლ-21	79,838	345,187	-	137,925	1,103,801
ვითიბი ბანკი ჯორჯია	7%	ევრო	15-მარ-23	124,013	426,572	-	82,601	1,692,905
რიმ ადვენჩერს/ვესტ-ისტ თრეველი	11%	ლარი	28-დეკ-18	-	100,000	-	-	-
რიმ ადვენჩერს/ვესტ-ისტ თრეველი	11%	ლარი	13-თებ-19	-	19,500	-	-	-
TEXOL WORLDWIDE LIMITED/ BLST	18%	დოლარი	31-დეკ-10	2,050,496	1,139,866	-	-	-
შპს ბ&ნ 2	6.54%	დოლარი	7-მაი-24	30,484	2,278,922	16,889	-	-
შპს ბ&ნ 3	11.75%	ლარი	7-მაი-24	186,158	4,489,763	55,693	-	-
შპს ბ&ნ 4	10.75%	ლარი	5-ოქტ-19	22,674	1,600,000	13,447	-	-
შპს ბ&ნ 5	7.50%	ევრო	5-მაი-19	7,955	422,654	4,853	-	-
კაკაბაძე ბადრი	7.70%	ევრო	19-ივნ-28	-	-	-	26,979	802,375
კაკაბაძე ბადრი	8.20%	დოლარი	11-ოქტ-19	19,371	545,979	-	-	-
შოთა აფხაზავა				-	738,185	-	-	-
თიბისი ლიზინგი				122,553	1,299,568	-	-	-
აკრედიტივი LC83				144,634	3,016,781	28,194	-	-
				-	5,878,885	-	-	17,205,360
სულ სესხები				2,788,176	22,322,835	119,076	247,505	20,879,753

შპს “რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

2018 წლის 31 დეკემბერი				მიდინარე		გრძელვადიანი	
	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის ვადა	პროცენტი	ძირი	პროცენტი	ძირი
აფხაზავა შოთა	0%	დოლარი	15-იან-20	-	-	-	20,035,521
აფხაზავა შოთა	0%	ლარი	26-სექ-19	-	-	-	674,215
ვითიბი ბანკი ჯორჯია	6.50%	ევრო	26-ივლ-21	-	-	-	1,953,979
ვითიბი ბანკი ჯორჯია	6.50%	ევრო	15-მარ-23	-	-	-	2,677,773
რიმ ადვენჩერს/ვესტ-ისტ თრეველი	8.60%	ევრო	31-დეკ-17	-	-	-	46,052
რიმ ადვენჩერს/ვესტ-ისტ თრეველი	11%	ლარი	28-დეკ-18	-	-	-	100,000
რიმ ადვენჩერს/ვესტ-ისტ თრეველი	11%	ლარი	13-თებ-19	-	-	-	19,500
TEXOL WORLDWIDE LIMITED/ BLST	18%	დოლარი	31-დეკ-10	1,922,419	-	-	1,063,907
თიბისი ბანკი - აკრედიტივი LC083	0%	ევრო	25-იან-19	4,569	2,216,350	-	-
თიბისი ბანკი 1	11%	ლარი	7-მაი-24	12,724	2,317,241	-	-
თიბისი ბანკი 2	7%	დოლარი	7-მაი-24	10,012	4,539,594	-	-
თიბისი ბანკი 3	12%	ლარი	3-იან-19	7,132	444,978	-	-
თიბისი ბანკი 4	11%	ლარი	5-ოქტ-19	10,367	1,600,000	-	-
თიბისი ბანკი 5	8%	ევრო	5-მაი-19	2,981	537,268	-	-
კაკაბაძე ბადრი	8%	ევრო	19-ივნ-28	-	-	-	767,525
კაკაბაძე ბადრი	8%	დოლარი	11-ოქტ-19	-	509,596	-	-
TBC Leasing				-	2,186,599	-	-
სულ სესხები				1,970,204	14,351,626	-	27,338,472

შპს “რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

2018 წლის 1 იანვარი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის ვადა	მიდინარე		გრძელვადიანი	
				პროცენტი	ძირი	პროცენტი	ძირი
აფხაზეთის შოთა	0%	დოლარი	15-იან-20	-	-	-	14,806,428
აფხაზეთის შოთა	0%	ლარი	26-სექ-19	-	-	-	709,215
ვითიბი ბანკი ჯორჯია	6.50%	ევრო	15-მარ-23	-	-	-	4,985,542
რიმ ადვენჩერს/ვესტ-ისტ თრეველი	8.60%	ევრო	31-დეკ-17	-	-	-	46,566
რიმ ადვენჩერს/ვესტ-ისტ თრეველი	11%	ლარი	28-დეკ-18	-	-	-	100,000
TEXOL WORLDWIDE LIMITED/ BLST	18%	დოლარი	31-დეკ-10	1,676,336	-	-	1,030,359
თიბისი ბანკი 1	7.5%	ევრო	15-სექ-18	208	403,572	-	-
თიბისი ბანკი 2	3.75% + რეფ*	ლარი	25-იან-19	7,025	-	-	3,816,350
თიბისი ბანკი 3	4.5% + რეფ*	ლარი	5-ივლ-24	9,870	570,406	-	4,539,594
თიბისი ბანკი 4	6.54% + ლიბორი **	დოლარი	5-ივლ-24	11,733	293,282	-	2,244,172
თიბისი ლიზინგი		დოლარი	25-ოქტ-19	-	194,644	-	37,343
სულ სესხები				1,705,172	1,461,904	-	32,315,569

14. ვალდებულების ანარიცხი

4,650,810 ლარი წარმოადგენს კომპანიის მიმართ სასამართლო დავის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულების ანარიცხს.

შპს “რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

15. შემოსავლები

ჯგუფის შემოსავლები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

	2019	2018
გათბობის სისტემები	16,735,847	18,165,407
სათადარიგო ნაწილები	4,651,672	5,049,013
გაგრილების სისტემები	3,259,468	3,537,889
გაწეული მომსახურება	1,971,609	2,140,022
შემოსავალი ავტოდრომიდან (მომსახურება)	1,718,920	2,065,140
შემოსავალი მარაგების რეალიზაციიდან	30,023	91,534
შემოსავალი რესტორნის რეალიზაციიდან	22,011	7,787
სხვა	1,106,638	1,203,986
სულ შემოსავალი	29,496,188	32,260,778

16. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ჯგუფის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

	2019	2018
გათბობის სისტემები	12,954,770	14,171,231
სათადარიგო ნაწილები	3,308,354	3,619,010
გაგრილების სისტემები	2,499,558	2,734,268
იჯარისა და რემონტის ხარჯები	1,679,974	1,284,006
გაწეული მომსახურება	937,096	1,025,090
გაყიდული/შემენილი საქონელი	55,198	120,289
სხვა	1,002,006	1,096,095
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	22,436,956	24,049,989

შპს “რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ჯგუფის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	4,240,927	4,892,737
უიმედო ვალების ანარიცხი	1,500,887	-
ცვეთა და ამორტიზაცია	1,219,108	1,354,753
იჯარის ხარჯი	318,932	494,075
საგადასახადო ხარჯი	288,796	231,629
პროფესიული და საკონსულტაციო მომსახურება	269,220	128,187
საბანკო ხარჯი	216,789	248,867
მივლინების ხარჯი	155,510	112,071
კომუნალური გადასახადი	100,102	136,847
კომუნიკაციის ხარჯი	91,335	97,443
რემონტის ხარჯი	57,423	36,881
დაცვის ხარჯი	34,780	45,081
დაზღვევის ხარჯი	34,584	46,852
წარმომადგენლობითი ხარჯი	20,077	40,659
ოფისის ხარჯი	1,509	3,933
გაცემული სესხის გაუფასურების რეზერვის ხარჯი	-	71,732
სხვა რემონტის და შეკეთების ხარჯი	-	2,137,569
სხვა	292,031	422,910
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8,842,010	10,502,226

18. გაყიდვის ხარჯები

ჯგუფის გაყიდვის ხარჯები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

	2019	2018
იჯარის ხარჯი	907,919	737,078
სამონტაჟო მომსახურება	752,869	897,440
საშუამავლო მომსახურება	375,575	482,940
რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯი	273,139	143,386
საწვავის ხარჯი	169,943	149,393
მიწოდების სხვა ხარჯები	10,355	86,812
საექსპლუატაციო ხარჯი (მომსახურება)	18,208	61,676
სხვა	23,703	46,948
სულ გაყიდვის ხარჯები	2,531,711	2,605,673

შპს “რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

19. სხვა შემოსავალი/ხარჯი ნეტო

სხვა შემოსავალი / ხარჯი ნეტო 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
სხვა შემოსავალი		
რეტრო ბონუსებიდან მიღებული შემოსავალი	-	182,351
გარანტიით რეალიზებულ მარაგების ანარიცხის ცვლილება	2,839	367,991
გაუფასურების რეზერვის აღდგენა	1,436,054	-
სხვა შემოსავალი	-	876,036
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1,548	142,417
განსაკუთრებული შემოსავლები	506	796
	1,440,947	1,569,591
სხვა ხარჯი		
დემირ დოკუმის ხარჯი	-	306,833
საქონლის დანაკლისი	782,711	504,345
მარაგის გაუფასურების ხარჯი	28	61,190
ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	-	17,548
სხვა ხარჯი	667,610	-
კონვერტაციის ხარჯი	19,865	94,030
არასაოპერაციო ზარალი	19,612	16,562
არასაგადასახადო ხარჯი	161	1,591
	1,489,988	1,002,099
სხვა შემოსავალი/ხარჯი, ნეტო	(49,041)	567,492

20. ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა

მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტის გადაფასებიდან 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	7,660,603	7,104,207
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(9,525,524)	(7,656,765)
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	(1,864,921)	(552,557)

21. მოგების გადასახადი / გადავადებული მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. 2018 წლის 5 მაისს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილებები და თარიღმა გადაიწია 2023 წლის იანვრამდე. ახალი რეგულაციის თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად.

20. მოგების გადასახადი / გადავადებული მოგების გადასახადი (გაგრძელება)

დივიდენდების განაწილებაზე დასარიცხი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებულ თანხაზე (1/85% * 15%) ოდენობის დარიცხვით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

ჯგუფს არ გაუცხადებია დივიდენდი და შესაბამისად არ აქვს მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდზე 2019 და 2018 წლებში, თუმცა დარიცხული აქვს მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდთან შინაარსობრივად გათანაბრებულ ხარჯებზე, რომელმაც 2019 წელს შეადგინა 0 ლარი (2018: 0 ლარი).

22. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

შენიშვნა 12-ში განხილული დავის გარდა 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება სხვა მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა გარდა, შენიშვნა 12-ში, სასამართლო დავასთან დაკავშირებით აღიარებული ვალდებულების ანარიცხისა, რომელიც ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

23. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანიაში დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლევადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ კომპანიის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ.

საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

საკრედიტო რისკი

ლიკვიდურობის რისკი

საბაზრო რისკი:

- სავალუტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

საკრედიტო რისკის წინაშე ჯგუფი დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად. საკრედიტო რისკი წარმოიშობება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. ჯგუფს შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც, თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
ფული და ფულის ეკვივალენტები	757,457	323,794	542,440
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,921,643	7,560,438	7,328,931
საგადასახადო აქტივი	3,251	-	-
გაცემული სესხები	281,652	285,221	70,397
სხვა ფინანსური აქტივი	325,197	302,551	-
მაქსიმალური საკრედიტო რისკი	8,289,199	8,472,004	7,941,769

20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. საკრედიტო რისკის შემცირების მიზნით ჯგუფს დაზღვეული აქვს ფინანსური აქტივები.

დაზღვევას ექვემდებარება 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მოთხოვნები, რომელთა მოცულობაც ინდივიდუალურად არ აღემატება 20,000 ლარს. იმ აქტივებისთვის, რომლებიც დაზღვეული ფინანსური აქტივების სიაში ვერ ხვდება და თანხის ამოღება პრობლემურია, გამოიყენება ფაქტორინგული მომსახურება.

დებიტორული დავალიანების საკრედიტო ხარისხის ანალიზი მოცემულია მე-9 შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ ჯგუფი აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებზე და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

კომპანიის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება როგორც მფლობელების კაპიტალით ასევე ბანკის სესხით.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2019 სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	757,457	-	-	-	757,457
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,921,643	-	-	-	6,921,643
საგადასახადო აქტივი	3,251	-	-	-	3,251
გაცემული სესხები	280,552	-	1,100	-	281,652
სხვა ფინანსური აქტივი	-	-	325,197	-	325,197
მთლიანი ფინანსური აქტივები	7,962,902	-	326,297	-	8,289,199
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,864,300	-	-	-	5,864,300
სესხები	3,309,862	21,227,286	21,065,237	-	45,602,385
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-	-	-
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	9,174,162	21,227,286	21,065,237	-	51,466,685
ლიკვიდურობის დეფიციტი	(1,211,260)	(21,227,286)	(20,738,940)	-	
ჯამური ლიკვიდურობის დეფიციტი	(1,211,260)	(22,438,546)	(43,177,486)	(43,177,486)	

შპს “რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

22. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2018 სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	323,794	-	-	-	323,794
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,560,438	-	-	-	7,560,438
საგადასახადო აქტივი	-	-	-	-	-
გაცემული სესხები	283,517	-	1,704	-	285,221
სხვა ფინანსური აქტივი	-	-	302,551	-	302,551
მთლიანი ფინანსური აქტივები	8,167,749	-	304,255	-	8,472,004
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,006,644	-	-	-	4,006,644
სესხები	1,922,419	1,461,904	37,208,406	-	40,592,729
საგადასახადო ვალდებულებები	21,232	-	-	-	21,232
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	5,950,295	1,461,904	37,208,406	-	44,620,605
ლიკვიდურობის დეფიციტი	2,217,454	(1,461,904)	(36,904,151)	-	
ჯამური ლიკვიდურობის დეფიციტი	2,217,454	755,550	(36,148,601)	(36,148,601)	

22. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტური, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ჯგუფი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ 2019
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	749,897	987	6,572	757,457
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,611,716	15,537	294,389	6,921,643
საგადასახადო აქტივი	3,251	-	-	3,251
გაცემული სესხები	200,087	3,783	77,782	281,652
სხვა ფინანსური აქტივი	325,197	-	-	325,197
მთლიანი ფინანსური აქტივები	7,890,148	20,308	378,743	8,289,199
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	832,798	2,078,420	2,947,562	5,858,780
სესხები	841,553	35,124,148	10,391,645	46,357,345
გაყიდვის დანახარჯები	-	-	-	-
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	1,674,351	37,202,568	13,339,207	52,216,126
ღია საბალანსო პოზიცია	6,215,797	(37,182,260)	(12,960,464)	

22. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ 2018
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	263,888	40,984	18,921	323,794
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,795,743	151,703	1,612,992	7,560,438
საგადასახადო აქტივი	-	-	-	-
გაცემული სესხები	203,656	3,783	77,782	285,221
სხვა ფინანსური აქტივი	-	302,551	-	302,551
მთლიანი ფინანსური აქტივები	6,263,287	499,022	1,709,696	8,472,004
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	448,725	1,589,114	1,967,214	4,005,053
სესხები	979,840	32,099,882	10,580,580	43,660,302
საგადასახადო ვალდებულებები	21,232	-	-	21,232
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	1,449,798	33,688,996	12,547,794	47,686,587
ღია საბალანსო პოზიცია	4,813,489	(33,189,974)	(10,838,098)	

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიბმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებს და აკორექტირებს მათ წლის ბოლოს უცხოური ვალუტის კურსის 20% -იანი ცვლილების პირობებში.

ფინანსური ინსტრუმენტების საფუძველზე 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგებაზე გავლენა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	ლარი / აშშ დოლარი	ლარი / აშშ დოლარი	ლარი / ევრო	ლარი / ევრო
	+20%	-20%	+20%	-20%
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის	(7,436,452)	7,436,452	(2,592,093)	2,592,093
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის	(6,637,995)	6,637,995	(2,167,620)	2,167,620

ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, მაგალითად საპროცენტო განაკვეთი, უცვლელია.

24. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული ჯგუფი (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს ჯგუფში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს ჯგუფზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (ბ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

23. დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	დაკავშირებული მხარე	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანია	30,143	19,798	50,831
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანია	184,869	167,094	175,636
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	შოთა აფხაზავა	-	512,252	-
გადახდილი ავანსები	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანია	11,911	7,281	11,911
მიღებული სესხები	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანია	119,500	165,552	146,566
მიღებული სესხები	შოთა აფხაზავა	23,180,530	20,709,736	15,515,643

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ 2019 და 2018 წლების განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია ხელფასების კატეგორიაში (შენიშვნა-15):

სრული შემოსავლების ანგარიშგება	დაკავშირებული მხარე	2019	2018
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	373,571	468,166

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის 31 დეკემბრიდან ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, ჯგუფში მოხდა შემდეგი მნიშვნელოვანი მოვლენები:

- 2020 წლის 17 ივლისს 51% -ზე მეტი ხმის უფლების მქონე კრედიტორის, შპს „ბ & ნ“-ის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი იქნა გადაწყვეტილებები რეაბილიტაციის მმართველს და საწარმოს დირექტორს შორის უფლებამოსილებათა წრის განსაზღვრის და შპს „საგა იმპექსის“ რეაბილიტაციის მმართველის მომსახურების შესახებ. რის შედეგადაც წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად დაინიშნა შპს ბიზნეს ქეარ კორპორეიშენი“ (ს/კ 404859382) წარმომადგენელი გენერალური დირექტორის ნოდარ პაპუაშვილის (პ/ნ 01009013083) სახით, შემდგომში-რეაბილიტაციის მმართველი.
- 2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე. წ. COVID-19) და 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ვირუსი პანდემიად გამოაცხადა. ამ გარემოების გამო, 2020 წლის 21 მარტს საქართველოში გამოცხადდა ერთთვიანი საგანგებო მდგომარეობა. ვითარების შედეგად, კომპანია გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. კომპანია თვლის, რომ მას აქვს ყველა ის რესურსი, რომელიც აუცილებელია, რომ განაგრძოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. ამასთან, ზუსტი წინასწარმეტყველების გაკეთება თუ რამდენად იმოქმედებს კრიზისი მის საქმიანობაზე ჯერ კიდევ ნაადრევია. ასევე გაურკვეველია, თუ რამდენი ხანი დასჭირდება კრიზისიდან გამოსვლას. ასეთი გლობალური ინტეგრირებული კრიზისი პირველია ქართული ბიზნესის ისტორიაში და შესაბამისად, კორპორატიული გამოცდილება არ არსებობს.

ანგარიშგების თარიღის შემდეგ არ დამდგარა სხვა ისეთი მოვლენები, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას ან გამჟღავნებას ექვემდებარება.

რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის
კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება
2019 წლის საანგარიშო პერიოდზე

საქმიანობის მიმოხილვა

რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი 2007 წლიდან ოპერირებს და თავის მხრივ, საქართველოსთვის სრულიად ახალ მიმართულებას ავითარებს. დღეისათვის რუსთავის ავტოდრომი არის არა მარტო ქვემო ქართლის და საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სპორტული მრავალფუნქციური ობიექტი, არამედ თავისი სიდიდითა და განსაკუთრებული მნიშვნელობით ერთადერთია სამხრეთ კავკასიაში.

ავტოსპორტი - ჩვენი ძირითადი საქმიანობის სეზონი იწყება გაზაფხულზე და გრძელდება გვიან შემოდგომამდე, რაც გულისხმობს საავტომობილო სპორტის სფეროში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიების ორგანიზებას.

სწავლება - იმ ქვეყნებში, სადაც ავტოსპორტი ინტენსიურად ვითარდება, გზებზე ავტომობილის მართვის უმაღლესი კულტურაა. ჩვენი სასწავლო პროგრამები სწორედ ამ მაღალ მიზნებს ემსახურება და რასაც აქტუალური სოციალური მნიშვნელობაც აქვს. ავტომობილის უსაფრთხო მართვის სასწავლო პროგრამებს ჩვენს ევროპული ასოციაციების მიერ დიპლომირებული მოდერატორებისა და ინსტრუქტორების მეშვეობით ვასწავლით.

ტურიზმი - გარდა სპორტული ავტომობილებისა, რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის ავტოპარკი აღჭურვილია სპეციალურად ტურიზმისათვის განკუთვნილი სპეცტექნიკით და ავითარებს საქართველოში ექსტრემალურ და სათავგადასავლო ტურიზმს, რაც მეტად მზარდი მოთხოვნით სარგებლობს.

კორპორაციული და კულტურული ღონისძიებები - მაგრამ გარდა ავტო/მოტოსპორტისა, სხვადასხვა სახის ტესტ-დრაივებისა, სასწავლო აკადემიისა და ექსტრემალური ტურიზმისა, ჩვენ ხშირად ვმასპინძლობთ მასშტაბურ კულტურულ ღონისძიებებს, კინო და სარეკლამო რგოლების გადამღებ ჯგუფებს, კორპორაციულ ღონისძიებებს, საერთაშორისო ტრენინგებს თუ უბრალოდ უცხო გარემოში ფოტოსესიების მოყვარულებს. ავტოდრომის ინფრასტრუქტურას წელიწადში რამდენჯერმე სტუმრობს „გადაიღე საქართველოს“ ფარგლებში მოღვაწე მსოფლიო კინოინდუსტრიის წამომადგენლები, რომელთაც რამდენიმე ფილმი უკვე გადაიღეს ჩვენს სივრცეში.

რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომს ჰყავს 1 შვილობილი კომპანია, - საგა იმპექსი (100% წილი).

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ავტოდრომის მშენებლობაც და საქმიანობაც მიმართულია მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული სპორტის - ავტოსპორტის განვითარებისა და ხელშეწყობისაკენ. შესაბამისად, თავისი სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, კომპანია მთელი არსებობის მანძილზე დოტაციურია და ზარალიანობის დაფარვა ხდება დაფუძნებლის პირადი სახსრებიდან. ზარალიანობა განპირობებულია როგორც უზარმაზარი ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ხარჯებით, ასევე მიწისა და ქონების მნიშვნელოვანად დიდი გადასახადებით.

სახელმწიფოს მხარდაჭერით და ქ. რუსთავის საკრებულოს გადაწყვეტილებით 2017 წელს ავტოდრომს მიეცა საშუალება შეემცირებინა ქონების გადასახადი 10-ჯერ მომდევნო 5 წლით ავტო და მოტოსპორტის დარგისთვის მიცემული შეღავათით (დაახლ. 350 000 ლარიდან 35 000 ლარამდე), რამაც მოგვცა საშუალება 2017 წელს ავტოგო ახალი კარტინგის ტრასა, რომლის საერთო ღირებულება სრული ინფრასტრუქტურით 2,5 მლნ ლარი შეადგინა, დავასაქმეთ 200-ზე მეტი ადამიანი მშენებლობაზე და საბოლოო ჯამში მივიღეთ უახლესი მსოფლიო სტანდარტის კარტინგის ტრეკი, რაც აუცილებელია ავტოსპორტის განვითარებისათვის. ამ პროექტით ჩვენ ვიმედოვნებთ ავღზარდოთ ახალგაზრდა სპორტსმენები, რომლიც საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე გაუთქვამენ სახელს.


ჩვენი ყველაზე პრესტიჟული პროექტია ევროპული და მსოფლიო სერიის - Lamborghini Supertrofeo-ზე საქართველოს გუნდის მონაწილეობა; აღსანიშნავია რომ საქართველოს დროშა არაერთგზის აფრიალდა მსოფლიოს უამრავ ავტოდრომზე: ქართული გუნდი „არტლანტ ჯორჯია“ გახდა 2015 წლის ევროპის ჩემპიონი, 2016 წლის მეორე

ადგილი მფლობელი და 2017 წლის მესამე ადგილის პრიზიორი, 2018 წლის მესამე და 2019 წლის პირველი ადგილის მფლობელი. ამ პროექტის ღირებულება დაახლ. 1,5 მლნ ლარია წელიწადში.

ზარალიანობის დაძლევის მიზნით 2015 წელს განხორციელდა 4 500 000 დოლარის ინვესტიცია კომპანია „საგა იმპექსის“ 100% -ანი წილის შესყიდვით, რაც გამიზნული იყო ავტოდრომის ზარალიანი საქმიანობის დასაბალანსებლად წმინდა კომერციული საქმიანობიდან მიღებული დივიდენდებით. სამწუხაროდ, საგა იმპექსში 2019 წელს დაიწყო გადახდისუნარიანობის საქმისწარმოება, კომპანია 2015 წლიდან განიცდის ზარალიანობას და მისი შეძენის მიზნობრიობა გამართლებული არ არის. 2020 წლის ივლისში საგა იმპექსი გადავიდა რეაბილიტაციის რეჟიმზე, რაც გვადლევს იმედს, რომ რეაბილიტაციის შედეგად კომპანია განაგრძობს მომგებიან ფუნქციონირებას. თუმცა, 2015 წლიდან მოყოლებული საგა იმპექსი განიცდის ფინანსური ზარალს. 2019 წლის 12 ივნისს დაიწყო გადახდისუნარიანობის საქმის წარმოება შპს „საგა იმპექსი“-ს მიმართ, კომპანიის მეურვედ დაინიშნა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო. მოხდა ყველა არსებული დავალიანების „გაყინვა“ 2019 წლის 12 ივნისის მდგომარეობით. 2019 წელს დაწყებული გადახდისუნარიანობის საქმის გამო, კომპანიას შესაძლებლობა მიეცა დაეზოგა საპროცენტო ხარჯები, თუმცა ამან მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინა ძირითად ფინანსურ მაშვენებლებზე, გარდა იმისა, რომ მოხერხდა აქტივების საერთო დონის შენარჩუნება და ბიზნეს-პროცესების დასტაბილურება. შემცირებულია მარაგები რაოდენობა 2018 წელთან შედარებით 6,929,730 ლარამდე რაც თითქმის 3 000 000 ლარს შეადგენ, შემცირებულია სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წინა წელთან შედარებით 4 116 600 ლარამდე. არსებული ფინანსური მდგომარეობა, ბაზარზე პოზიციების შესუსტება და საბრუნავი კაპიტალის შემცირება მიზეზი გახდა ძირითადი მომწოდებლების დროებითი დაკარგვისა, გეგმის შეუსრულებლობის გამო. 2020 წლის ივლისში კომპანია გადავიდა რეაბილიტაციის რეჟიმზე. არსებული მძიმე ფინანსური მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნა არ არის მარტივი, თუმცა კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია ფულადი სახსრების მოზიდვის გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს საბრუნავი კაპიტალის შევსებას და შეძლებს კომპანიის არსებული მდგომარეობიდან გამოყვანას.

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018 * გადაანგარიშებული	1 იანვარი 2018 * გადაანგარიშებული
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	33,411,883	34,693,490	35,945,723
არამატერიალური აქტივები		46,570	54,376	63,766
სხვა ფინანსური აქტივი		325,197	302,551	-
გუდვილი		7,095,247	7,095,247	7,095,247
სულ გრძელვადიანი აქტივები		40,878,897	42,145,664	43,104,736
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8	7,023,478	9,992,187	14,465,560
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	5,685,356	4,797,108	7,132,241
გაცემული სესხები		281,653	285,221	70,398
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	757,457	323,795	542,441



სულ მიმდინარე აქტივები		13,747,944	15,398,311	22,210,640
სულ აქტივები		54,626,841	57,543,975	65,315,376
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		32,486,311	32,486,311	32,486,311
დაგროვილი ზარალი		(50,033,507)	(38,076,171)	(31,121,327)
გადაფასების რეზერვი		13,980,621	13,980,621	13,980,621
არამაკონტროლებელი წილი		-	-	67,556
სულ კაპიტალი		(3,566,575)	8,390,761	15,413,161
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
გრძელვადიანი სესხი	13	21,127,258	27,338,472	32,315,569
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		21,127,258	27,338,472	32,315,569
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	13	25,230,088	16,321,831	3,167,076
ვალდებულებების ანარიცხი	14	4,650,810	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		435,095	390,158	632,303
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	6,750,165	5,102,753	13,787,267
სულ მიმდინარე ვალდებულებები		37,066,158	21,814,742	17,586,646
სულ ვალდებულებები		58,193,416	49,153,214	49,902,215
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		54,626,841	57,543,975	65,315,376

შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		2019	2018 *
	შენიშვნა	გადაანგარიშებული	
შემოსავალი	14	29,496,188	32,260,778
რეალიზაციის თვითღირებულება	15	(22,436,956)	(24,049,989)




საერთო მოგება		7,059,232	8,210,789
		-	-
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	16	(8,842,010)	(10,502,226)
გაყიდვის დანახარჯები	17	(2,531,711)	(2,605,673)
სხვა შემოსავალი/ხარჯი ნეტო	18	(49,041)	567,492
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(4,363,530)	(4,329,618)
		-	-
ზარალი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან	19	(1,864,921)	(552,557)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(4,650,810)	
ფინანსური ხარჯი, წმინდა		(1,078,075)	(2,072,669)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(11,957,336)	(6,954,844)
		-	-
მოგების გადასახადი		-	-
მთლიანი სრული ზარალი		(11,957,336)	(6,954,844)
		-	-
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი		(11,957,336)	(6,954,844)
საანგარიშგებო წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც კკუთვნის:			
ჯგუფის მფლობელებს		(11,957,336)	(6,954,844)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს		-	-

თანამშრომლების რაოდენობა და სტრუქტურა

ავტოდრომი სტაბილურად ასაქმებს თვეში 60-მდე ადამიანს, რომელთაც საშუალო ხელფასი 1000 ლარია, ხოლო ადგილობრივი დონის ღონისძიებების გამართვის დროს დასაქმებულთა რაოდენობა 200 კაცამდეა. როგორც წესი, უპირატესობა ენიჭება ადგილობრივ მაცხოვრებლებს. საერთო ჯამში 0,7 მლნ ლარზე მეტი წელიწადში მხოლოდ ფიზიკური პირების ანაზღაურებაზე მოდის.

საგა იმპექსი - კომპანიაში დანერგილია ვერტიკალური მმართველობითი სტრუქტურა, მათი ხელმძღვანელები წარმოადგენენ უმაღლეს მენეჯმენტს. საერთო ჯამში დასაქმებულთა რაოდენობა 170 ადამიანია, მათგან 59% მამაკაცია, ხოლო დანარჩენი 41% ქალები. საშუალო დარიცხული ხელფასი შეადგენს 1300 ლარს.



კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ ჩაუტარებია მნიშვნელოვანი კვლევები და ღონისძიებები განვითარების მხრივ.

რისკების მიმოხილვა

ვინაიდან ავტოსპორტი საქართველოში მეტად სუსტადაა განვითარებული, რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის საქმიანობა არ არის მომგებიანი, ორგანიზაცია დამოკიდებულია შვილობილი კომპანიისგან მიღებულ დივიდენდებზე და დამფუძნებლისგან აღებულ სესხებზე. სამწუხაროდ, დღეისათვის შვილობილი კომპანია ვერ უზრუნველყოფს მომგებიან საქმიანობას იმდენად, რომ ავტოდრომის დაფინანსებით ჩანაცვლდეს დამფუძნებლის შენატანები. შესაბამისად, მთავარი რისკი, რაც კომპანიის ფუნქციონირებას შეუშლის ხელს - არის დამფუძნებლის მიერ დაფინანსების შეწყვეტა.

დღეისათვის საგა იმპექსი სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. ძირითად რისკს წარმოადგენს მსოფლიოში პანდემიისგან საზღვრების ჩაკეტვის და კარანტინის საშიშროება. ასევე, მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს უცხოელ მომწოდებლებთან გართულებული ურთიერთობა გადახდისუუნარობის პროცესის გამო, ასევე საგადასახადო დავების პროცესში არსებული მოთხოვნები, დიდიმოცულობის მიმდინარე ვალდებულებები. თუმცა ფულადი კაპიტალის შევსება აღნიშნულ რისკებს მნიშვნელოვნად შეამცირებს.

განვითარების გეგმები

ავტოსპორტის სწორ განვითარებას პირველ რიგში სოლიდური ფუნდამენტი სჭირდება. ავტოდრომის საკუთრებაში არსებული 75 ჰა მიწის ფართობიდან კიდევ ასათვისებელია 25 ჰა იმისათვის, რომ ავტოდრომმა სრულად უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს: საჭიროა აშენდეს კიდევ 2 სახის ტრასა - მოტოკროსის ტრასა, ოფ-როუდის ტრასა (ტრიბუნებით და საჭირო ინფრასტრუქტურით), ასევე მედ-პუნქტი, სასტუმრო და საბავშვო ქალაქი. აღნიშნული პროექტებიდან ნაწილი მშენებლობის პროცესშია, პროექტების დასრულება იგეგმება 2022 წლის ბოლომდე. საბოლოო ჯამში ჩვენ მივიღებთ თანამედროვე მსოფლიო დონის ავტოდრომს, რომელიც უმასპინძლებს საერთაშორისო დონის შეჯიბრებებს, ადგილობრივ ჩემპიონატებს და მოემსახურება ექსტრემალური სპორტის, ტურიზმისა და გართობის მოყვარულებს ავტო და მოტოსპორტის დარგში.

ასევე ვიმედოვნებთ, საგა იმპექსის რეაბილიტაციას, რომლის მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს ინვესტიციების მოძიებაზე, რაც მოგვცემს იმის საშუალებას, საგა იმპექსის ფინანსური მდგომარეობა გამოსწორდება და იქცევა მომგებიან ორგანიზაციად.

პატივისცემით,
ლელა კალანდია
რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის დირექტორი

